

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ბიზნესის მართვის ფაკულტეტი

ანაბრების დაზღვევის ეფექტური სისტემის შექმნა საქართველოში

სოფიო ხუნდაძე

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი ბიზნესის მართვაში (ფინანსები და  
საბანკო საქმე)

თბილისი 2010

სელმძღვანელი: პროფ. დოქტ. ქეთევან ლაფაჩი

.....

(სელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

პროფ. დოქტ. ლევან ქისტაური .....

პროფ. დოქტ. ტატიანა პაპიაშვილი .....

ოპონენტები:

პროფ. დოქტ. გია თოფურია .....

ასოც. პროფ. დოქტ. ნინო ჯღამაძე .....

## 1. ნაშრომის მოკლე შინაარსი

უკანასკნელი ათწლეულების მონაცემებით საბანკო ინსტიტუტების კრიზისი ხშირად ფინანსური ბაზრების არასტაბილურობის გამომწვევი მიზეზი ხდებოდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღებისა და დანერგვის აუცილებლობას (Chu, 2003). ანაბრების დაზღვევის სისტემის პრაქტიკაში დანერგვამ უჩვენა, რომ სისტემის არსებობა უზრუნველყოფს ეკონომიკურ სტაბილურობას ეფექტური და კონკურენტუნარიანი საბანკო სისტემის შექმნის გზით, რაც გადამწყვეტია ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისათვის (Ketcha, 2007). საქართველოს ეროვნული ბანკის მცდელობა დანერგილიყო ანაბრების დაზღვევის სისტემა საქართველოს საბანკო გარემოში წარუმატებლად დამთავრდა. 2005 წელს შემუშავებული პროექტი არ იქნა დამტკიცებული საქართველოს პარლამენტის მიერ.

ნაშრომის შესავალ ნაწილში განხილულია ანაბრების დაზღვევის მნიშვნელობა და მისი გავლენა ზოგადად საბანკო სისტემაზე, სისტემის თანმხლები მოსალოდნელი რისკები და ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები ამ რისკების მართვის საკითხზე. ასევე განხილულია ყოფილი საბჭოთა კავშირის რამოდენიმე ქვეყნის მაგალითი იმ კუთხით თუ რა გავლენა მოახდინა სისტემის შემოღებამ ანაბრების მოცულობაზე.

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია საბანკო ინსტიტუტების მიმართ საქართველოს მოსახლეობის ნდობის ხარისხი და მათი ქცევა ქვეყანაში არსებული ან მოსალოდნელი არასტაბილურობის დროს, რათა დადგინდეს ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების საჭიროება. ნაშრომში ასევე განხილულია საბანკო სისტემის სტაბილურობის ხარისხი, ეროვნული ბანკის მიერ საბანკო ინსტიტუტების ზედამხედველობის ეფექტურობა და შესაბამისად გაანალიზებულია ანაბრების დაზღვევის სისტემის წარმატებით დანერგვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი სამართლებრივი ბაზის მზაობა.

ნაშრომში გამოკითხვის გზით დადგენილია საქართველოს მოსახლეობის ქცევა ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების შემთხვევაში რაც სისტემის წარმატებით ფუნქციონირების განმსაზღვრელი ფაქტორია.

საერთაშორისო გამოცდილებისა და ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასევე გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, რაც საქართველოს საბანკო სისტემის თავისებურებათა გათვალისწინების საშუალებას იძლევა, სადისერტაციო ნაშრომში შემუშავებულია საქართველოს საბანკო გარემოზე საუკეთესოდ მორგებული ანაბრების დაზღვევის სისტემის მოდელი.

**პრობლემის აქტუალობა.** მენაბრეთა უმეტესობას ანაბრის ვადაზე ადრე გატანის უფლება აქვთ აღვიღზე მოთხოვნის ან წინასწარი შეტყობინების პირობით, რაც ხშირად საბანკო ინსტიტუტების ფინანსური პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია. უდავოა, რომ კომერციულ ბანკს არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა ნებისმიერ დროს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და მოახდინოს მისი ვალდებულებების მთლიანი ან უმეტესი ნაწილის ნაღდ ფულად კონვერტაცია. რა თქმა უნდა, ნომრალურ პირობებში ბანკი არ დგას მსგავსი პრობლემის წინაშე, როდესაც ყველა ნაკისრი ვალდებულების ერთდროულად შესრულება არის საჭირო; რაც ბანკს საშუალებას აძლევს მოახდინოს არალიკვიდურ აქტივებში ინვესტირება. თუმცადა, მოსალოდნელი კრიზისის დროს, საბანკო ანგარიშებიდან თანხის მასიური გადინების შემთხვევაში ყოველი მენაბრე თავადაც შეეცდება საკუთარი დანაზოგის გამოტანას. მას შემდეგ, რაც კომერციული ბანკი ამოწურავს ლიკვიდური აქტივების მარაგს, იწყებს არალიკვიდური აქტივების გაყიდვას რათა დააკმაყოფილოს მენაბრეთა მოთხოვნები. რეალურად, ყოველი ასეთი გაყიდვა ნიშნავს, რომ ბანკი განიცდის დანაკარგს აქტივების დაუგეგმავი რეალიზაციის პროცესში. გარკვეულ ეტაპზე ბანკი განიცდის იმ რაოდენობის ზარალს, რომ ვეღარ ახერხებს დარჩენილ მენაბრეთა მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. სწორედ ეს ფაქტორი, რაც გამოიხატება იმაში, რომ მომსახურება ხდება რიგითობის პრინციპით (first come, first served), განაპირობებს მენაბრეთა ქმედებას სასწრაფოდ გამოიტანონ ანაბარი რაიმე საფრთხის შექმნის შემთხვევაში. მენაბრეები, რომლებიც პირველად მიმართავენ ბანკებს ანაბრის გამოსატანად არაფერს კარგავენ, მაშინ როცა, დაგვიანებული მენაბრე კარგავს ყველაფერს. ამდენად, მენაბრე, რომელიც შეამჩნევს, რომ სხვა მენაბრეები მიმართავენ ბანკებს თავიანთი დანაზოგების გამოსატანად, აუცილებლად იჩქარებს თავისი ანაბრის გამოტანას, სჭირდება იგი

მას მოცემული მომენტისათვის თუ არა, რაც საბოლოო ჯამში საბანკო ინსტიტუტებიდან თანხების პანიკურად გადინებას იწვევს (Ketcha, 2007).

ზემოაღნიშნული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს საბანკო სისტემისათვის. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საბანკო სექტორი საქართველოს ეკონომიკის სტაბილურად პროგრესირებადი სექტორია, მოსახლეობის ნდობის ხარისხი საქართველოში არსებული ბანკების მიმართ მაინც არ არის საკმარისად მაღალი. რისი გამომწვევი მიზეზიც სავარაუდოდ წარსულის მოვლენებია – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბანკების მასიურად გაკოტრების შედეგად საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა დაკარგა თავიანთი დანაზოგები. არც ერთ მესაბრეს საქართველოში კომპენსაცია არ მიუღია.

2002 წლიდან 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე საქართველოს ეროვნული ბანკი აფიქსირებს ანაბრების ზრდას 472 045 000 ლარით, რაც საქართველოს 2003-2008 წლების ყოველწლიური საშუალო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 4%-ს შეადგენს, და უცხოურ ვალუტაში დეპონირებული ანაბრების 1 088 518 000 უცხოური ვალუტით მატებას, რაც იმავე 2003-2008 წლების ყოველწლიური საშუალო მშპ-ს დაახლოებით 14%-ს შეადგენს. 12 189 000 ლარის მოცულობის ანაბრები ოფიციალურად დაფიქსირდა 2002 წელს და 487 234 000 ლარი – 2008 წლის აგვისტოში; 2002 წელს 249 910 000 ლარის ღირებულების ანაბარი დაფიქსირდა უცხოურ ვალუტაში და 1 338 428 000 ლარის ღირებულების ანაბარი – 2008 წლის აგვისტოში (საქართველოს ეროვნული ბანკი 2002, 2003, 2004, 2005, 2006, 2007, 2008). თუმცა გასულ წლებთან შედარებით ბანკების მიერ მოზიდული ანაბრების მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა, მოსახლეობა დღემდე ეჭვქვეშ აყენებს საბანკო დაწესებულებებში განთავსებული თავიანთი დანაზოგების უსაფრთხოებას. ნებისმიერი პოლიტიკური თუ ეკონომიკური გაურკვეველობა აიძულებს ხალხს მიმართონ ბანკებს და ვადამდე ადრე გაიტანონ ანაბრები. საქართველოში მომხდარმა 2008 წლის აგვისტოს პოლიტიკურმა არასტაბილურობამ აჩვენა მოცემული საკითხის აქტუალობა. საქართველოს საბანკო სისტემა მნიშვნელოვნად დაზარალდა ამ არასტაბილურობის დროს. ანაბრების მნიშვნელოვანი რაოდენობის გადინება მოხდა საქართველოში მოქმედი საბანკო ინსტიტუტებიდან, რამაც აიძულა ისინი აერჩიათ უფრო უსაფრთხო სტრატეგია –

შეენახათ მეტი რეზერვი და არ დაეკმაყოფილებინათ საკრედიტო მოთხოვნები. რამოდენიმე თვის შემდეგაც კი ბანკებმა ვერ მოახერხეს თავიანთი ოპერაციების სრულად აღდგენა და ისინი კვლავ ინარჩუნებდნენ უსაფრთხოების სტრატეგიას; გრძელვადიანი სესხები (სამ წელზე მეტი ვადით) არ გაიცემოდა, უფრო მკაცრი მოთხოვნები და შეზღუდვები დაწესდა საბანკო სესხით სარგებლობის მსურველთათვის და ა.შ. ბანკები იძულებულნი იყვნენ ამგვარად ემოქმედათ, რადგანაც მეანაბრეთა ქმედებები არ იყო პროგნოზირებადი, ანაბრების გატანა მოსალოდნელი იყო ნებისმიერ დროს. კომერციული ბანკები დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ ისევ მოეზიდათ მეანაბრეთა მიერ გატანილი თანხები.

შედევები დრამატულად უარყოფითი იყო არა მარტო საბანკო სისტემისათვის, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკისათვის. ბანკების მიერ დაკრედიტირების პროცესის შეზღუდვამ შეაფერხა საქართველოს ეკონომიკური წინსვლა; ბიზნეს კომპანიები აფართოვებდნენ თავიანთ საქმიანობას საკრედიტო დაფინანსების მეშვეობით, სამომხმარებლო საქონლის შესყიდვა ხდებოდა სამომხმარებლო სესხების, ხოლო სახლის შესყიდვა იპოთეკური სესხების მეშვეობით. შესაბამისად დაზარალებდნენ ბიზნეს კომპანიები, რადგან გართულდა მათი პროდუქტის რეალიზაცია. განსაკუთრებით დაზარალდა სამშენებლო კომპანიები, რომლებიც 2003-2008 წლებში ქვეყნის მშპ-ს საშუალოდ 8%-ს შეადგენდნენ. ეკონომიკის სფეროში სამშენებლო საქმიანობის წილი საგრძნობლად შემცირდა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ სამშენებლო სექტორმა ქვეყნის მშპ-ს მხოლოდ 5% შეადგინა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2009). ბიზნეს კომპანიები იხურებოდა, არ იყო ახალი ბიზნეს წამოწყებები მომავალი გაურკვევლობების გამო, უმუშევრობის დონემ 16.5%-ს მიაღწია. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში უმუშევრობის დონე ბოლო სამი წლის განმავლობაში საშუალოდ 13% იყო. 2005 წლიდან იგი თანდათანობით იკლებდა ყოველწლიურად 0.2-0.3%-ით. 2008 წლამდე 13.8%-დან უმუშევრობის დონემ 13.3%-მდე დაიწია, მაგრამ 2008 წელს 3%-ზე უფრო მეტი მაჩვენებლით გაიზარდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2009).

ანაბრების დაზღვევის სისტემის საქართველოში დანერგვა კვლავ გახდა განსჯის საგანი, დღევანდელი მნიშვნელოვანი საკითხი. ქართველი ექსპერტების (პაპავა & ფაჩულია, 2009; კოვზანაძე, 2008; გოცირიძე, 2005) თანახმად შესაძლებელი იქნებოდა ამ უარყოფითი პროცესების თავიდან აცილება, ნაწილობრივ მაინც, ანაბრების დაზღვევის სისტემის არსებობის შემთხვევაში. მათი აზრით შესაძლოა შეჩერებულიყო მოსახლეობის პანიკა თუკი მეანაბრებს ექნებოდათ იმის გარანტია, რომ მოხდებოდა მათი დანაზოგების საბანკო კრიზისის ნებისმიერ შემთხვევაში ანაზღაურება და დარწმუნებულნი იქნებოდნენ თავიანთი ანაბრების უსაფრთხოებაში.

ექსპერტები დაობენ ანაბრების დაზღვევის პროგრამის ეფექტურობის შესახებ. ზოგიერთი მათგანის თანახმად გარკვეული სახის რისკები (moral hazard), რომლებიც თან ახლავს პროგრამის დანერგვას, გადაწონის მის დადებით ეფექტს, იწვევს რა მეანაბრეთა პასიურ დამოკიდებულებას აკონტროლონ საბანკო ინსტიტუტების საქმიანობა. შედეგად, ბანკები მოტივირებულნი არიან აირჩიონ რისკიანი სტატეგია, რაც თავის მხრივ ზრდის ბანკების გაკოტრების რისკს. საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად, ანაბრების დაზღვევის სისტემას მხოლოდ დადებითი შედეგები მოაქვს და რისკების ზრდის უარყოფითი ფაქტორები შესაძლოა მთლიანად გაკონტროლდეს თუკი პროგრამა სათანადოდ არის შემუშავებული და ადმინისტრირებული.

კვლევის საგანთან დაკავშირებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე წარმოიშვა შემდეგი საკვლევო შეკითხვები:

1. უწყობს თუ არა ხელს ანაბრების დაზღვევის სისტემა საბანკო სისტემის სტაბილურობას და ზრდის თუ არა საზოგადოების ნდობის ხარისხს?
2. სჭირდება თუ არა საქართველოს საბანკო სისტემას ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვა?
3. მოუტანს თუ არა სარგებელს ანაბრების დაზღვევის სისტემა საქართველოს საბანკო გარემოსა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას?
4. არის თუ არა მზად საქართველოს საბანკო სექტორი ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღებისათვის?

5. ანაბრების დაზღვევის სისტემის რა მოდელია ოპტიმალური საქართველოს საბანკო გარემოსათვის?

**კვლევის საგანი.** სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ანაბრების დაზღვევის სისტემის გავლენა ზოგადად საბანკო გარემოზე და კონკრეტულად საქართველოს საბანკო სექტორზე. სადისერტაციო ნაშრომი შეისწავლის საბანკო ინსტიტუტების მიმართ საქართველოს მოსახლეობის ნდობის დონეს რათა აჩვენოს საქართველოში ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვის საჭიროება. კვლევის საგანს ასევე შეადგენს საქართველოს საბანკო გარემოს სტაბილურობის დონის განსაზღვრა რათა მოხდეს ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვისათვის საქართველოს საბანკო სექტორის მზადყოფნის დემონსტრირება.

კვლევის განსაკუთრებული ყურადღების საგანია ანაბრების დაზღვევის სისტემის კომპონენტების შესწავლა და დეტალური განხილვა, რაც უზრუნველყოფს საქართველოს საბანკო გარემოზე საუკეთესოდ მორგებული ანაბრების დაზღვევის სისტემის მოდელის შექმნას.

**კვლევის მიზნები და ამოცანები.** სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია ანაბრების დაზღვევის სისტემის ეფექტურობის დამტკიცება და საქართველოს საბანკო სექტორზე მორგებული სისტემის შექმნა სხვადასხვა ექსპერტების რეკომენდაციების, სხვა ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოს საბანკო სისტემის თავისებურებათა გათვალისწინებით.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე გამოიკვეთა კვლევის შემდეგი მიზნები და ამოცანები:

1. ანაბრების დაზღვევის სისტემის გავლენის განსაზღვრა იმ ქვეყნების საბანკო გარემოზე სადაც სისტემა უკვე ფუნქციონირებს. სისტემის გავლენა გულისხმობს როგორც დადებით ისე უარყოფით შედეგებს, როგორცაა საბანკო სექტორის სტაბილურობისა და ანაბრების მოცულობის ზრდა ან პირიქით საბანკო სექტორის სტაბილურობისა და ანაბრების მოცულობის შემცირება, რაც მოსახლეობის ნდობის დონის ამაღლების ან შესუსტების შედეგად არის გამოწვეული.

2. საქართველოს საბანკო სისტემის და ქვეყანაში მოქმედი საბანკო ინსტიტუტების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების გამოკვლევა და მათი



ნდობის ხარისხის განსაზღვრა საქართველოში მოქმედი ბანკების მიმართ. აღნიშნული დაკვირვება გვიჩვენებს ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვის საჭიროებას საქართველოს საბანკო გარემოსათვის.

3. საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების განსაზღვრა ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვის მიმართ და ამ სისტემის არსებობის შემთხვევაში მათი ქცევის პროგნოზირება. არსებულ და პოტენციურ მეანაბრეთა განსხვავებული (შეცვლილი) ქცევა ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვის შემდეგ დაგვეხმარება ვიწინასწარმეტყველოთ რამდენად მოუტანს სარგებლობას სისტემის არსებობა საბანკო სექტორს და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკას.

4. სათანადო საკანონმდებლო ბაზითა და საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით უზრუნველყოფილი საქართველოს საბანკო სისტემის სტაბილურობის ხარისხის შეფასება, რათა განისაზღვროს რამდენად მზად არის საქართველოს საბანკო გარემო ანაბრების დაზღვევის სისტემის წარმატებით დანერგვისათვის.

5. სადისერტაციო ნაშრომის უნიშვნელოვანესი მიზანი და ამოცანაა შეიქმნას საქართველოს საბანკო სისტემისათვის ოპტიმალური ანაბრების დაზღვევის სისტემის მოდელი საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების, ასევე ექსპერტების მოსაზრებების, რჩევებისა და შემოთავაზებების გათვალისწინებით. მოდელი ამასთანავე ითვალისწინებს იმ ქვეყნების გამოცდილებას სადაც უკვე დანერგილია ანაბრების დაზღვევის ეფექტური სისტემა, ასევე საქართველოს საბანკო სექტორის თავისებურებებსა და საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნას სისტემის კომპონენტებთან დაკავშირებით.

**ჰიპოთეზა.** კვლევის გარკვეული მიზნების მისაღწევად, კერძოდ მოსახლეობის საქართველოს საბანკო ინსტიტუტების მიმართ დამოკიდებულების საჩვენებლად, ანაბრების დაზღვევის სისტემის არსებობის შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობის ქცევის გამოსარკვევად და სისტემის კომპონენტებისა და მახასიათებლების შესახებ საქართველოს მეანაბრეთა მოთხოვნების საჩვენებლად ჩამოვაყალიბეთ საკვლევო ჰიპოთეზა. საკვლევო ჰიპოთეზა განიხილავს შემდეგს:

1. ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვა ზრდის მეანაბრეთა რიცხვს საქართველოში;
2. დაზღვეული ანაბრების დაბალი საპროცენტო ანაზღაურება ამცირებს მეანაბრეთა რიცხვს საქართველოში;
3. ანაბრების დაზღვევის სისტემა ამცირებს პანიკას მოსახლეობას შორის და უნდობლობას საბანკო ინსტიტუტების მიმართ საქართველოში კრიზისის დროს;
4. ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვა საქართველოში ასუსტებს საბაზრო დისციპლინას სადაზღვევო ლიმიტის არარსებობის შემთხვევაში;
5. ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვა საქართველოში ასუსტებს საბაზრო დისციპლინას სადაზღვევო ლიმიტის არსებობის შემთხვევაში.

**კვლევის მეთოდოლოგია.** კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებულია კვლევის მეორადი მონაცემების ანალიზი და მონაცემების კონფერმატორული ანალიზი.

მეორადი მონაცემების ანალიზი (დოკუმენტების ანალიზი) განხორციელდა პოსტ-საბჭოური ქვეყნების შესწავლით, რომელთაც უკვე დანერგილი აქვთ ანაბრების დაზღვევის მექანიზმები. ანალიზის მიზანი იყო მოცემული ქვეყნების საბანკო გარემოზე ანაბრების დაზღვევის სისტემის გავლენის შესწავლა. ეფექტის წარმოსაჩენად განხილულია მათ საბანკო სექტორში განვითარებული მოვლენები, კერძოდ კი, ანაბრების ზრდის ტენდენცია ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების შემდეგ.

მეორადი მონაცემების ანალიზი გამოყენებულ იქნა ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორცაა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, ანაბრების დამზღვევთა საერთაშორისო ასოციაცია (IADI), ფინანსური სტაბილურობის ფორუმი, ამერიკის ქვეყნების ბანკების ზედამხედველობის ასოციაცია (ASBA), რეკომენდაციების მოსაძიებლად და გასაანალიზებლად.

მეორადი მასალის ანალიზი ასევე ჩატარდა “კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვანელო”-ს შეფასების გზით, იმის

გამოსარკვევად, თუ რამდენად სათანადოდ ხდება კომერციული ბანკების ზედამხედველობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისად, რამდენად სტაბილურია და ამდენად მზადაა საქართველოს საბანკო გარემო ანაბრების დაზღვევის სისტემის წარმატებული დანერგვის უზრუნველსაყოფად. ამისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული კომერციული ბანკების ზედამხედველობის მეთოდი ანუ ერთიანი სარეიტინგო სისტემა იქნა დეტალურად გაანალიზებული. სარეიტინგო სისტემის ეფექტურობის შესაფასებლად შესწავლილ იქნა 2000 წლიდან მოყოლებული ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს საბანკო სისტემაში მიმდინარე მოვლენები.

მონაცემთა კონფერმატორული ანალიზი განხორციელებულ იქნა გამოკითხვის ჩატარების შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით. გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია ასახავს კომერციული ბანკების მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას და მათი ნდობის ხარისხს. მოსახლეობის ნდობის ხარისხი შეფასებულ იქნა პოლიტიკური ან ეკონომიკური არასტაბილურობისა და ზოგადად კრიზისის დროს მათი ქცევის გაანალიზების გზით. საკვლევი პოპულაციის შერჩეული ნაწილი ასევე გამოიკითხა ანაბრების დაზღვევის სისტემის არსებობის შემთხვევაში მათი ქცევის შესახებ. მოსახლეობის ქცევა ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღებამდე და მისი შემოღების შემდეგ საქართველოს საბანკო გარემოზე სისტემის გავლენის მაჩვენებელია. გამოკითხვის შედეგად ასევე მოპოვებულ იქნა ინფორმაცია ანაბრების დაზღვევის სისტემის კომპონენტების მიმართ საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნების შესახებ.

მონაცემთა კონფერმატორული ანალიზი გულისხმობს გამოკითხვის შედეგების ანუ გამოკითხული მოსახლეობის პასუხების ტესტირებას ორშერჩევანი ტესტის, კერძოდ კი, z-ტესტის სტატისტიკის გამოყენებით ორი პროპორციის სხვაობისათვის. ტესტირების პროცესი გულისხმობს ნულოვანი ჰიპოთეზის ტესტირებას რათა გარკვეული სიზუსტით უარყოფილ იქნას ნულოვანი ჰიპოთეზით წამოჭრილი აზრი, წინადადება, ან პირიქით ვერ იქნას უარყოფილი ნულოვანი ჰიპოთეზით წამოჭრილი აზრი.

**კვლევის მეთოდების სანდოობა.** სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ჰიპოთეზის ტესტირების მეთოდი სანდოა 95 % სიზუსტით. სტატისტიკურად

მნიშვნელოვანი დონე, ალფა ( $\alpha$ ) უტოლდება 0.05-ს ( $\alpha = 0.05$ ), რაც ნიშნავს, რომ ტესტირების შედეგები სანდოა 95 % სიზუსტით.

ტესტირების შედეგები სადისერტაციო ნაშრომში უარყოფს ნულოვან ჰიპოთეზას ალტერნატიული ჰიპოთეზის სასარგებლოდ თუკი, ალბათობის მნიშვნელობა სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე ნაკლებია ( $p\text{-Value} < \alpha$ ). რაც ნიშნავს, რომ II ტიპის შეცდომის ალბათობა 5 % -ზე ნაკლებია. II ტიპის შეცდომა ნიშნავს ნულოვანი ჰიპოთეზის დადასტურებას როცა სინამდვილეში ის არ არის ნამდვილი. ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა მისი შეცდომით დადასტურების ალბათობა 5 % -ზე ნაკლებია.

ტესტირების შედეგები ვერ უარყოფს ნულოვან ჰიპოთეზას ალტერნატიული ჰიპოთეზის სასარგებლოდ თუკი, ალბათობის მნიშვნელობა სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე მეტია ( $p\text{-Value} > \alpha$ ). რაც ნიშნავს, რომ I ტიპის შეცდომის ალბათობა 5 % -ზე მეტია. I ტიპის შეცდომა ნიშნავს ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფას როცა სინამდვილეში ის ნამდვილია. ნულოვანი ჰიპოთეზა არ არის უარყოფილი მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა მისი შეცდომით უარყოფის ალბათობა 5 % -ზე მეტია.

**ნაშრომის ძირითადი შედეგები.** სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შესრულებულ კვლევას, რომლის შედეგადაც:

- გაანალიზებულია სხვა ქვეყნების ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების პრაქტიკა და ეფექტი და დასაბუთებულია საქართველოში მისი დანერგვის მიზანშეწონილობა;
- შეფასებულია ანაბრების დაზღვევის სისტემის დადებითი მხარეები და განსაზღვრულია სისტემის დანერგვის პროცესთან დაკავშირებული რისკები, შემოთავაზებულია აღნიშნული რისკების პრევენციისა და მართვის მეთოდები.

სადისერტაციო ნაშრომის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა საერთაშორისო პრაქტიკის და საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებით

შექმნილი, საქართველოს საბანკო გარემოზე და ქართულ რეალობაზე საუკეთესოდ მორგებული ანაბრების დაზღვევის სისტემის მოდელი.

**ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება.** ნაშრომს გააჩნია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულება.

ანაბრების დაზღვევა შედარებით ახალი ცნებაა საბანკო სისტემაში და მისი დანერგვის ინიციატივა საქართველოს საბანკო გარემოში ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ანაბრების დაზღვევის სისტემა, მისი დანერგვის პრაქტიკა სხვა ქვეყნებში და აღნიშნულ თემაზე გამოქვეყნებული მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა. უდავოა, რომ ყოველივე ეს განაპირობებს ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას, იმდენად, რამდენადაც საკითხი ეხება საქართველოს რეალობაში ახალი ფენომენის შემოღებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომი შესაძლოა განხილულ იქნას როგორც თეორიული საფუძველი ქვეყანაში ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვის მიზნით განხორციელებული (შესაძლო) მომავალი ქმედებებისათვის.

გარდა ამისა ნაშრომს გააჩნია უაღრესად დიდი პრაქტიკული ღირებულებაც. კერძოდ, მასში საკითხის თეორიული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია საქართველოს საბანკო სისტემაში ანაბრების დაზღვევის ეფექტური სისტემის დანერგვისათვის აუცილებელი პრაქტიკული რეკომენდაციები და წინადადებები. კვლევის ძირითადი შედეგია ანაბრების დაზღვევის სისტემის მოდელი, რომელიც ჩვენი აზრით ეფექტურად მოერგება საქართველოს რეალობას. შესაბამისად, ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საკანონმდებლო და მარეგულირებელი ორგანოების (საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის) მიერ საქართველოში ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღებისა და დანერგვის შესახებ საკითხის ინიცირებისა და განხორციელების პროცესში, ასევე ექსპერტების, მეცნიერების, მკვლევარებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა მიერ. ნაშრომი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში როგორც სასწავლო მასალა საბანკო საქმის კურსის შესწავლისას.

**პუბლიკაციები.** ნაშრომის ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები ასახულია ხუთ სტატიაში, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 137 გვერდს. შედგება 3 თავის, 11 ქვეთავის, წყაროების, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. ტექსტში ჩართულია 23 საანალიზო ცხრილი, 17 დიაგრამა და 1 დანართი. ნაშრომს თან ერთვის 107 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

## **2. ნაშრომის შინაარსი**

**შესავალი ნაწილი.** სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში განხილულია ანაბრების დაზღვევის სისტემის მნიშვნელობა და მისი გავლენა საბანკო სისტემის სტაბილურობაზე. საუბარია პრობლემის აქტუალობაზე, განხილულია კვლევის საგანი და საკვლევი შეკითხვები. ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები და ამოცანები და ასევე საკვლევი ჰიპოთეზა. აქვე განხილულია კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის ხერხები და კვლევის მეთოდების სანდოობა. ნაშრომის შესავალ ნაწილში ასევე განხილულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება.

**ნაშრომის პირველ თავში “საბანკო სექტორზე ანაბრების დაზღვევის სისტემის გავლენისა და სისტემის ეფექტური მოდელის საკითხზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა”** განხილულია ანაბრების დაზღვევის სისტემის გავლენის შესახებ არსებული ლიტერატურა, გაანალიზებულია ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომები და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები. ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია რამდენად უზრუნველყოფს ანაბრების დაზღვევის სისტემა მენაბრეთა დაცვას და როგორ აისახება მისი დანერგვა საბანკო სექტორის სტაბილურობაზე. ლიტერატურის ანალიზის შედეგად ნაშრომში დასაბუთებულია ანაბრების დაზღვევის სისტემის ეფექტურობა და გამოკვეთილია პოზიცია მისი დანერგვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ნაშრომში მოყვანილია არგუმენტები

ანაბრების დაზღვევის სისტემის ეფექტურობის მოწინააღმდეგეთა შეხედულებების საწინააღმდეგოდ. ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების ინიციატივის კვლავ მხარდასაჭერად და საბანკო სისტემაზე სისტემის დადებითი გავლენის დემონსტრირებისათვის სადისერტაციო ნაშრომში ყოფილი საბჭოთა კავშირის 9 ქვეყანაში (რუსეთი, უკრაინა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი და მოლდოვეთი) სისტემის დანერგვის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვება და მათი განხილვა ხდება. დაკვირვების მთავარი საგანი აღნიშნულ ქვეყნებში ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღებისა და დანერგვის შემდეგ ანაბრების მოცულობის ზრდის ტენდენცია და ამ ტენდენციის სტაბილურობაა. სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავის დასკვნით ნაწილში განხილულია სხვადასხვა ექსპერტთა შემოთავაზებები და საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორცაა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, ანაბრების დამზღვევთა საერთაშორისო ასოციაცია (IADI), ფინანსური სტაბილურობის ფორუმი და ამერიკის ქვეყნების ბანკების ზედამხედველობის ასოციაცია (ASBA), ძირითადი პრინციპები და რეკომენდაციები, რაც აუცილებელია ანაბრების დაზღვევის სისტემის წარმატებით დანერგვისათვის.

ნაშრომის მეორე თავში “საქართველოს საბანკო გარემო” შეფასებულია საქართველოს საბანკო ზედამხედველობის სამართლებრივი საფუძვლები და გაანალიზებულია ზედამხედველობის პროცესში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასების ზოგადი სარეიტინგო სისტემა (“CAMEL”- ის სახით). შეფასების მეთოდის ეფექტურობა მტკიცდება საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში საბანკო სტაბილურობის შენარჩუნებით, ანუ იმ ფაქტით ჰქონდა თუ არა ადგილი საბანკო ინსტიტუტების მარცხსა და მასიური არასტაბილურობის შემთხვევებს ამ პერიოდში. ზედამხედველობის მეთოდი შეიძლება წარმატებულად მივიჩნიოთ, თუკი ის ახერხებს ბაზარზე მხოლოდ ზედმეტი რისკების არმქონე ძლიერი საბანკო ინსტიტუტების შენარჩუნებას. ბანკების გაკოტრების შემთხვევების არ არსებობა ამტკიცებს იმ აზრს, რომ მარეგულირებელი ორგანოების მიერ ზედამხედველობის პროცესი ეფექტურად მიმდინარეობს. დაკვირვების შედეგები განსაზღვრავს საქართველოს საბანკო სისტემის სტაბილურობის ხარისხს, რაც თავისხმრივ იმის

მაჩვენებელია შეძლებს თუ არა საქართველოს საბანკო გარემო ანაბრების დაზღვევის სისტემის წარმატებით დანერგვის უზრუნველყოფას. ამავე თავში შეფასებულია საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ 2005 წელს ერთობლივად შემუშავებული ანაბრების დაზღვევის პროექტი, განხილულია მისი ნაკლოვანებები და შემოთავაზებულია მისი სრულყოფის წინადადებები. ამ თავში ასევე არგუმენტირებულია საქართველოში ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების საჭიროება საქართველოს მოსახლეობის ქცევის მოდელის განხილვის გზით. ჩატარებული სოციალური გამოკითხვის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს მოსახლეობა ხასიათდება პანიკური დამოკიდებულებით ბანკების მიმართ ყოველი უმნიშვნელო არასტაბილურობის შემთხვევაშიც კი, რასაც შედეგად მოაქვს ანაბრების ვადაზე ადრე გამოტანა. აღნიშნული დაკვირვება, სოციალური გამოკითხვის შედეგებთან ერთად, მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის კომერციული ბანკების მიმართ ნდობის ჯერ კიდევ დაბალ ხარისხზე. ნაშრომის მეორე თავის ბოლო ნაწილში აგრეთვე აღწერილია ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიები, მონაცემთა ამორჩევისა და მონაცემთა შეგროვების პრინციპები და პროცესი.

**ნაშრომის მესამე თავში “კვლევის შედეგები და მონაცემთა ანალიზი”** აღწერილია გამოკითხვის შედეგების ვერბალური ანალიზი. ეს უკანასკნელი გამყარებულია ჰიპოთეზის ტესტირების სტატისტიკური გზით. საკვლევი ჰიპოთეზის ტესტირება ხდება z-ტესტის სტატისტიკური მეთოდით. ტესტირების შედეგები გაანალიზებულია. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ამ თავის დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომელთა დანერგვაც ავტორის აზრით უზრუნველყოფს ანაბრების დაზღვევის სისტემის ოპტიმალური მოდელის შექმნას საქართველოში. მოდელი ითვალისწინებს სისტემის წარმატებით დანერგვისათვის აუცილებელ კომპონენტებს, როგორცაა სისტემის მართვა და მართვის უფლება, სადაზღვევო ფონდი, სადაზღვევო სისტემაში მონაწილეობა, სადაზღვევო ლიმიტი, უცხოურ ვალუტაში დეპონირებული ანაბრების დაზღვევა, სადაზღვევო გადასახადი და მეანაბრეთა კომპენსაციის პროცესი.



**დასკვნითი ნაწილი და რეკომენდაციები.** საქართველოს საბანკო სექტორი წლების განმავლობაში მიჩნეულია როგორც ყველაზე პროგრესირებადი და მუდმივად განვითარებადი ეკონომიკური სექტორი. თუმცა ეს არ უზრუნველყოფს საბანკო ინსტიტუტების მიმართ საქართველოს მოსახლეობის ნდობის მაღალ ხარისხს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ხალხის სრულიად დაბალი ნდობის ხარისხი შედარებით გამოსწორდა, თუმცა არასაკმარისად იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას პანიკა მოსახლეობას შორის, ნებისმიერი არსებული თუ მოსალოდნელი არასტაბილურობის შემთხვევაში, რაც ნათლად გამოჩნდა აგვისტოს 2008 წლის მოვლენების განვითარებისას. ოფიციალურ სტრატეგიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეანაბრებები საქართველოში მზად არიან გამოიტანონ თავიანთი დანახოვები საბანკო ინსტიტუტებიდან ნებისმიერი არასტაბილურობის შენიშვნის შემთხვევაში. იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ანაბრების დაზღვევის სისტემა უკვე მუშაობს, ამტკიცებს მის ეფექტურობას მოსახლეობის ნდობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხში. თუმცა მკვლევართა ნაწილი ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას რომ ანაბრების დაზღვევის სისტემა ხელს უწყობს საბანკო სექტორში სტაბილურობის შენარჩუნებას ხანგრძლივი დროით. სისტემის დანერგვის მსოფლიო პრაქტიკული გამოცდილება ხელს უწყობს საბანკო გარემოზე მისი დადებითი გავლენის დადასტურებას. ანაბრების დაზღვევის სისტემის კრიტიკოსთა საწინააღმდეგო არგუმენტები შემდეგნაირია:

1. ანაბრების დაზღვევის სისტემა ვერ იქნება ფინანსური სტაბილურობის ისეთი გარანტი, რომ აბსოლუტურად შეაჩეროს საბანკო კრიზისი. სისტემა ემსახურება კონკრეტულად, იმ მიზანს რომ დაიცვას შეანაბრებები თავიანთი დანახოვების დაკარგვისაგან ბანკის გაკოტრების შემთხვევაში, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს მოსახლეობის ნდობის გაუმჯობესებას და პანიკის თავიდან აცილებას მომავალში. კრიზისი ხშირშემთხვევაში არ არის გამოწვეული ბანკიდან ანაბრების ინტესიური გადინებით ან ბანკის გადაჭარბებული რისკით. საბანკო ინსტიტუტის გაკოტრების მიზეზი ყოველი კონკრეტული შემთხვევისას უნდა იქნას დეტალურად გამოკვლეული და თუკი ამის მიზეზი არ არის ბანკიდან ანაბრების პანიკურად გადინება ანაბრების დაზღვევის სისტემა არ უნდა იქნას მიჩნეული კრიზისის მაპროვოცირებელ მიზეზად.

2. ანაბრების დაზღვევის სისტემის ეფექტურობის კრიტიკოსთა საწინააღდეგო არგუმენტი ახლავს ის, რომ არ შეიძლება ყველა ქვეყანა თანაბრად განიხილებოდეს, რადგან თითოეულ მათგანს გააჩნია ეკონომიკის ყოველი კონკრეტული სექტორის განვითარების განსხვავებული წარსული და საფუძველი და ამდენად, დროის გარკვეულ მონაკვეთში ისინი არიან ეკონომიკური ზრდის და განვითარების განსხვავებულ ეტაპზე. შესაბამისად, მათი ფინანსური სექტორები განსხვავებულად უზრუნველყოფენ ანაბრების დაზღვევის სისტემის წარმატებით დანერგვასა და მის ეფექტურ ფუნქციონირებას. საბანკო ინსტიტუტების წარმატებული მართვა, მათი რისკების მართვის გამჭვირვალობა, ეფექტური საბაზრო დისციპლინა და ბანკების ზედამხედველობის ძლიერი სამართლებრივი საფუძველი ანაბრების სისტემის დანერგვით წარმოქმნილი შესაძლო რისკების თავიდან აცილებისა და ამ რისკების მართვის საშუალებას იძლევა.

3. ანაბრების დაზღვევის სისტემის გავლენის გამოსარკვევად ჩატარებული კვლევები ხშირად აჩვენებენ სისტემის უარყოფით გავლენას გრძელვადიან პერიოდში და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ის საბანკო ინსტიტუტები რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფუნქციონირებენ ანაბრების დაზღვევის სისტემის არსებობის დროს უფრო ხშირად განიცდიან კრიზისს ვიდრე ის საბანკო ინსტიტუტები, რომელთაც შედარებით მოკლე დროით მოუხდათ ფუნქციონირება აღნიშნულ პირობებში. ამით ცდილობენ დაასკვნან, რომ ანაბრების დაზღვევის სისტემა საბოლოოდ იწვევს საბანკო ინსტიტუტების კრიზისს. თუმცა საბანკო ინსტიტუტების გაკოტრების მიზეზი ამ შემთხვევაში შესაძლოა იყოს შედარებით ადრე დანერგილი ანაბრების დაზღვევის სისტემის არასრულყოფილი მოდელი. მაგალითად, სისტემას მისი თავდაპირველად შემოღებისას არ გააჩნდა რისკის მიხედვით გამოთვლილი სადაზღვევო გადასახადი, რაც ამჟამად ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღებით წარმოქმნილი შესაძლო რისკების მართვისა და მისი წრმატებით ფუნქციონირების საუკეთესო საშუალებად ითვლება. ამდენად, ანაბრების დაზღვევის სისტემა დადებითად მოქმედებს თუ უარყოფითად ქვეყნის საბანკო სექტორზე მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმით თუ რამდენად კარგად არის ის შემუშავებული და ადმინისტრირებული.

იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ანაბრების დაზღვევის სისტემა ფუნქციონირებს, ნათლად ამტკიცებს სისტემის ეფექტურობას იმ პირობით თუკი პროგრამის წარმატებით დანერგვისა და მუშაობისათვის აუცილებელი ყველა კომპონენტი განხილულია სისტემის შემუშავების პროცესში. ანაბრების დაზღვევის სისტემის წარმატების წინაპირობაა მისი ყურადღებით შემუშავება ისე, რომ ყველა დადებითი შედეგები იქნას პროვოცირებული, რისკების ზედმეტი ზრდისა და საბაზრო დისციპლინის შემცირების გარეშე.

ზემოთხსენებულ საერთო მოსაზრებასთან ერთად სადისერტაციო ნაშრომი განიხილავს ანაბრების დაზღვევის სისტემის გავლენას კონკრეტულად საქართველოს საბანკო სექტორზე და ასკვნის:

1. ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვა სავარაუდოდ დადებით გავლენას იქონიებს საქართველოს საბანკო გარემოზე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღებამ აჩვენა ანაბრების მოცულობის მუდმივი ზრდა მისი დანერგვის შემდეგ. რამდენადაც სხვა ფაქტორები რასაც შესაძლოა გამოეწვიოს ეს ზრდა ყველა ქვეყანაში ვერ დაემთხვეოდა ზუსტად ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების მომენტს, სწორედ ანაბრების დაზღვევის სისტემა უნდა ჩაითვალოს ამ ტენდენციის გამომწვევ მიზეზად. რადგანაც ეკონომიკური მდგომარეობა ამ ქვეყნებში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მსგავსია იმ კუთხით, რომ ყველა ამ ქვეყნის მოსახლეობამ განიცადა თავიანთი დანაზოგების დანაკარგი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და შესაბამისად აქვთ მსგავსი პესიმისტური დამოკიდებულება საბანკო ინსტიტუტების მიმართ, ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვამ საქართველოს მსგავსი დადებითი შედეგები უნდა მოუტანოს.

2. საქართველოს საბანკო სისტემა საჭიროებს ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღებას მომავალი განვითარებისა და ზრდისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით უზრუნველყოფილი საბანკო სისტემის სტაბილურობა ქმნის ქვეყანაში საბანკო სექტორის ზრდის ტენდენციას. შესაბამისად ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ასახავს საქართველოს საბანკო სფეროს მნიშვნელოვნად განვითარებას. თუმცა სისტემის სტაბილურობა და განვითარება არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ დაეცვა საბანკო ინსტიტუტები მოსახლეობის

პანიკისაგან მოსალოდნელი გაურკვევლობის დროს, რის გამოც კომერციული ბანკები საქართველოში აგვისტოს მოვლენების დროს, 2008 წელს, აღმოჩნდნენ ფინანსური პრობლემების წინაშე და მნიშვნელოვნად დაზარალდნენ. ანაბრების დაზღვევის სისტემა მეანაბრეთა დანაკარგების კომპენსაციის უზრუნველყოფის გზით ზრდის მოსახლეობის ნდობის ხარისხს და ამცირებს პანიკას კრიზისის დროს. ტესტირების შედეგები ასახავს ანაბრების დაზღვევის სისტემის იგივე დადებით გავლენას საქართველოს საბანკო სექტორზე; ნულოვანი ჰიპოთეზა რომ ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღება 54 % -ით ამცირებს პანიკას საბანკო ინსტიტუტების მიმართ არ არის უარყოფილი 95 % სიზუსტით. ანაბრების დაზღვევის სისტემის ეს დადებითი გავლენა სავარაუდოდ გაზრდის საბანკო სტაბილურობას საქართველოში მოსალოდნელი კრიზისის დროსაც და შესაბამისად ხელს შეუწყობს საბანკო სექტორის შემდგომ განვითარებას.

3. ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღება ფინანსურ სარგებელს მოუტანს საქართველოს საბანკო სისტემას. გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო საქართველოს მოსახლეობის მზადყოფნა და სურვილი ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების შესახებ. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (473 რესპონდენტი ანუ გამოკითხულთა დაახლოებით 95 %) მზად არის დააზღვიოს დანაზოგი საქართველოში ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების შემთხვევაში. უფრო მეტიც, ტესტირების შედეგებმა უჩვენა, რომ საქართველოში ანაბრების დაზღვევის სისტემის არსებობის შემთხვევაში მეანაბრეთა რიცხვი გაიზრდება. ნულოვანი ჰიპოთეზა, რომ ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების შედეგად მეანაბრეთა რაოდენობა მოიმატებს 50 % - ით არ არის უარყოფილი 95 % სიზუსტით. საქართველოს მოსახლეობამ გამოხატა სურვილი დააზღვიონ თავიანთი დანაზოგები სადაზღვევო ხარჯის მიუხედავად. ჰიპოთეზა მეანაბრეთა რიცხვის მნიშვნელოვნად შემცირების შესახებ თუკი ისინი დაზღვეულ ანაბარზე შედარებით დაბალ საპროცენტო ანაზღაურებას მიიღებენ უარყოფილია. ტესტირების შედეგების თანახმად ამ შემთხვევაში მეანაბრეთა რაოდენობის მხოლოდ 2.4 % - ით შემცირებაა მოსალოდნელი. ეს მართლაც უმნიშვნელო რაოდენობაა ტესტირების წინა შედეგებთან შედარებით, სადაც ნაჩვენებია ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების შემთხვევაში მეანაბრეთა რაოდენობის 50 %-ით მომატება. ასეთი მნიშვნელოვანი მატება ცხადია დადაებით გავლენას იქონიებს საქართველოს

საბანკო სისტემაზე რაც საბანკო საქმიანობის გაფართოვებასა და ზრდაში გამოიხატება.

4. საქართველოს სამართლებრივი ბაზა ანაბრების დაზღვევის სისტემის წარმატებით დანერგვას უზრუნველყოფს ქვეყანაში. საბანკო ზედამხედველობის სამართლებრივი საფუძვლები საკმაოდ კარგად განვითარებულია იმისათვის, რომ დაიცვას კომერციული ბანკები გადაჭარბებული რისკისაგან. საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობა საბანკო სისტემის ზედამხედველობის განხორციელების კუთხით, ანუ საბანკო ინსტიტუტების ფინანსური მდგომარეობისა და ზოგადად მათი საქმიანობის კონტროლი, შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს, რადგან უზრუნველყოფილია საბანკო სისტემაში მხოლოდ ძლიერი საბანკო ინსტიტუტების შენარჩუნება. 2000 წლიდან ბოლო ათი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფენ, რომ ოფიციალური მონაცემებით არ ფიქსირდება საბანკო ინსტიტუტების გაკოტრების ფაქტები საქართველოში. რემოდენიმე ბანკის ბაზრიდან გაუჩინარება (თუმცა მათი გაკოტრება ოფიციალურად არ ცხადდება) არ შეიძლება მეტყველებდეს საქართველოს საბანკო სისტემის არასტაბილურობაზე. ათი წლის განმავლობაში რამოდენიმე საბანკო ინსტიტუტის გაკოტრების ფაქტიც კი არ მოგვცემდა იმის საშუალებას გვეთქვა, რომ კომერციული ბანკები საქართველოში არაეფექტურად კონტროლდება. საბანკო სისტემის სტაბილურობა და მისი კარგად განვითარებული სამართლებრივი ბაზა ანაბრების დაზღვევის სისტემის წარმატებით დანერგვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

5. საქართველოს საბანკო გარემოზე საუკეთესოდ მორგებული ანაბრების დაზღვევის სისტემის მოდელი უნდა ითვლისწინებდეს ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს:

ა) ანაბრების დაზღვევის სააგენტო რეკომენდირებულია იმართებოდეს დამოუკიდებლად, პოლიუტიკური და სხვა ინსტიტუციონალური გავლენის გარეშე, რადგან მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყოს მაქსიმალურად ეფექტური და ემსახურებოდეს მხოლოდ საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს.

ბ) ანაბრების დაზღვევის სააგენტოს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფონდი, ბიუჯეტი, რათა შეეძლოს ამ ფინანსური სახსრების გამოყენება ნებისმიერ

დროს როცა საჭირო გახდება მეანობრეთა დანაკარგების კომპენსაცია. სადაზღვევო ფონდის ინვესტირება სააგენტოს მიერ უნდა მოხდეს მხოლოდ უსაფრთხო და ლიკვიდურ აქტივებში რათა დაცული იყოს სააგენტოს სახსრები მოსალოდნელი დანაკარგის რისკისგან. ანაბრების დაზღვევის სისტემამ უნდა დააწესოს მოძრავი პროცენტული შეზღუდვა საინვესტიციო თანხაზე, რათა ბაზარზე მოსალოდნელი ცვლილებების შესაბამისად მოხდეს კომპენსაციისთვის განკუთვნილი სარეზერვო ფონდის ცვლილება. წვერი ბანკების ფინანსური პრობლემების წარმოქმნის მაღალი რისკის შემთხვევაში სარეზერვო ფონდი უნდა გაიზარდოს და პირიქით, ნაკლები რისკის არსებობის შემთხვევაში სააგენტოს უნდა ეძლეოდეს საშუალება შეამციროს სარეზერვო ფონდი და გაზარდოს საინვესტიციო პოტენციალი.

გ) ანაბრების დაზღვევის სისტემაში მონაწილეობის მიღება რეკომენდირებულია კომერციული ბანკებისათვის იყოს სავალდებულო, სხვა შემთხვევაში მხოლოდ მაღალი რისკის მატარებელი, გაკოტრების მაღალი ალბათობის მქონე, სუსტი ბანკების მონაწილეობაა მოსალოდნელი.

დ) რეკომენდირებულია სადაზღვევო ლიმიტის შემოღება. ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით მეანობრებმა გამოსატეს უფრო ძლიერი ინტერესი აკონტროლონ კომერციული ბანკების საქმიანობა იმ შემთხვევაში თუკი არ იქნება მათი ანაბრების სრულად ანაზღაურების პირობა. ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვა საქართველოში შეამცირებს საბანკო ინსტიტუტების საქმიანობაზე დაკვირვების მსურველ მეანობრეთა რიცხვს არ იქნა უარყოფილი 95 % სიზუსტით სადაზღვევო ლიმიტის არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში, თუმცა სრული ანაზღაურების შემთხვევაში მეანობრეთა რაოდენობა 22 %-ით შემცირდა, ხოლო ნაწილობრივი ანაზღაურების შემთხვევაში – მხოლოდ 12 %-ით. ამდენად, სადაზღვევო ლიმიტის შემოღება საბაზრო დისციპლინის შენარჩუნების ეფექტურ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს.

ე) რეკომენდირებულია უცხოურ ვალუტაში დეპონირებული ანაბრების დაზღვევა. ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოს საბანკო სისტემაში ანაბრების უმეტესი ნაწილი დეპონირებულია უცხოურ და არა ეროვნულ ვალუტაში. ამდენად ანაბრების

დაზღვევის სისტემის გავლენის შესუსტების თავიდან ასაცილებლად სასურველია დაზღვეულ იქნას ანაბრები უცხოურ ვალუტაშიც.

ე) ბანკების მიერ გადაჭარბებული რისკის აღების საშიშროების შემცირების მიზნით სასურველია რისკის მიხედვით გამოთვლილი სადაზღვევო გადასახადების დაწესება საბანკო ინსტიტუტებზე, რის შედეგადაც კომერციული ბანკები სავარაუდოდ თავს შეიკავებენ ზედმეტად სარისკო საქმიანობისაგან მათზე დაკისრებული სადაზღვევო გადასახადების შემცირების მიზნით, რაც შეამცირებს მათი ფინანსური პრობლემების წარმოქმნის ალბათობას.

ზ) მენაბრეთა დანაკარგების კომპენსაციის პროცესი ანაბრების დაზღვევის სააგენტოს მიერ უნდა იყოს გასაგებად და დეტალურად ახსნილი. მენაბრებმა ზუსტად უნდა იცოდნენ როდის, როგორ და რა რაოდენობით მოხდება მათი დანაზოგების კომპენსაცია.

ანაბრების დაზღვევის სისტემის განხორციელების პროცესში შესაძლოა გამოყენებულ იქნას დამატებით შემდეგი მოსაზრებები: არ იქნას დაზღვეული მენაბრეთა გარკვეული კატეგორია (მაგალითად, კომერციული ბანკის მმართველობით თანამდებობებზე მომუშავე მენაბრები), მიღებულ იქნას სამართლებრივი ზომები გაკოტრების გამომწვევი გადაწყვეტილებების მიმდებთა წინააღმდეგ, შემოდებულ იქნას გადაჭარბებული რისკების აღების საწინააღმდეგოდ უფრო მკაცრი მოთხოვნები, როგორცაა საზედამხედველო კაპიტალზე მოთხოვნის გაზრდა მარეგულირებელი ორგანოს მიერ, რაც თავისთავად შეამცირებდა ზედმეტი რისკების აღების სურვილს, მფლობელთა მეტი დანაკარგის გამომწვევის შიშით, საბანკო ინსტიტუტების ზედამხედველობისა და მისი ფინანსური მდგომარეობის შემოწმების გამკაცრება, რათა მოხდეს რისკების უკეთ შეფასება.

ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირება სისტემის მუშაობის პრინციპების შესახებ. კომუნიკაციის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ოფიციალური განცხადებების გამოყენება რაც აუწყებს მოსახლეობას ქვეყანაში ანაბრების დაზღვევის სააგენტოს მიერ მათი დანაზოგების დაცვის უზრუნველყოფას. ინფორმირების ასევე ეფექტური საშუალებაა ანაბრების

დაზღვევის სისტემის მიერ მენაბრეთა დანაზოგების დაცვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება რეკლამებისა და გამომცემლობების გამოყენებით.

სადისერტაციო ნაშრომის შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდირებულია საქართველოში ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღების საკითხის დაყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ანაბრების დაზღვევის სისტემის წარმატებული დანერგვისა და ფუნქციონირების აუცილებელ წინაპირობად კი განიხილება ფიზიკური პირების ანაბრების სავალდებულო დაზღვევის პროექტის დახვეწა ან მისი თავიდან შემუშავება წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.



დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია

1. Khundadze S. (December, 2009). *The Problem of Moral Hazard and Effects of Deposit Insurance Project*, Semi-annual International Refereed Multi – Disciplinary Scientific Journal of IBSU, N 3 (2), International Black Sea University, Tbilisi.
2. Khundadze S. (September, 2009). *Deposit Insurance for Georgian Banking System Development*, International Scientific-methodological and Applied, Quarterly Refereed Scientific Journal, “Agrarian-economic Science and Technologies” N 3 (4), Tbilisi.
3. Khundadze S. (December, 2009). *Prudential Regulations of Georgia for Effective Deposit Insurance System*, Monthly International Refereed Scientific Journal “Economics”, N 10 (12), Tbilisi.
4. Khundadze S. (November, 2010). *Expected Effect of Coverage Limit over the Behavior of Depositors in Georgia*, International Periodical Scientific Journal of Georgian Foundation for Development of Sciences and Society, “Inteleqti”, N 2 (37), Tbilisi.
5. Khundadze S. (2010). *Expected Effect of Deposit Insurance System over the State of the Banking Environment of Georgia*, Semi-annual International Refereed Multi – Disciplinary Scientific Journal of IBSU, International Black Sea University, Tbilisi.